



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 23

28/02/2018

სოფიო ბუსკივადის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილების 39³-ე მუხლის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. მივლინებულ იქნას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა“ კომისიის თავმჯდომარე სოფიო ბუსკივადე ა/წ 1 მარტს ქ.თბილისში მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორთან ბატონ გალაქტიონ ბუაძესთან შესახვედრად სოფელ ღვანკითის წყლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით .

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელომწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო